

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გარემოს დაცვის კომისიის სხდომის
ოქმი №34

21.09.2023 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე),
ვლადიმერ ბოჭაძე, ლევან ჯაფარიძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე
ხუჯაძე, სალომე კობალაძე, ვახტანგ სურგულაძე, ლევან ჟორჟოლიანი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმარი:

1. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. გიორგი კობიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი;
3. ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
4. ლევან მდივნიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე
(კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 19 სექტემბრის №12-032326258-03 წერილი)

/მომხსენებელი: ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე/

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 11 სექტემბრის №12-032325458-03 წერილი)

/მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 1-ელი სექტემბრის №12-032324412-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 1-ელი სექტემბრის №12-032324414-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 7 სექტემბრის №12-03232501-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 8 სექტემბრის №12-03232511-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

7. მიმდინარე საკითხები:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 20 სექტემბრის N12-032326380-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 20 სექტემბრის N12-032326389-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 19 სექტემბრის №12-032326258-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ლევან მიქავამ.

მომხსენებლის (ლ. მიქავა) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტობრივად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები 9 459 100 ლარის ოდენობით, ხოლო გრანტების ნაწილში უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 130 000 ლარით საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების შემცირების ხარჯზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 9 459 100 ლარით და შეადგენს 1 833 083 600 ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 5 000 000 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 600 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 485 500 ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 4 000 000 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 5 500 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის

ასიგნებები - 453 500 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 600 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 210 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 300 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 1 050 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 1 000 000 ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები - 1 000 000 ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) – 295 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) – 300 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) – 400 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 280 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 250 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) – 430 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) – 219 000 ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) – 70 000 ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) – 45 000 ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) – 60 000 ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) – 195 000 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 100 000 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 300 000 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 55 000 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 100 000 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 140 000 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 100 000 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 100 000 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 200 000 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 100 000 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 255 000 ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 6 000 000 ლარით, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) – 100 000 ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) – 10 200 ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 3 680 000 ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) – 240 000 ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) – 15 000 ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი

08 11 03) – 50 000 ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 17 000 ლარით.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 150 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 15 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 545 500 ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 3 300 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 355 000 ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 10 200 ლარით, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) - 3 551 000 ლარით, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (კოდი 10 24) – 690 000 ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 17 000 ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 1 660 300 ლარით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 1 920 600 ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) - 6 631 500 ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (10 48) - 6 000 000 ლარით.

დამსწრე საზოგადოებისთვის მომხსენებლის (ლ. მიქავა) მიერ საკითხის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, შეკითხვა დასვა და აზრი გამოთქვა: ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, რომელიც დაინტერესდა თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების (კოდი 10 46) 1 920 600 ლარით შემცირების გამომწვევი მიზეზით.

ბ-ნი ნ. კახეთელიძის მიერ დასმულ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა მომხსენებელმა, ბატონმა ლევან მიქავამ. მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების (კოდი 10 46) 1 920 600 ლარით შემცირება გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით და ნარჩენი თანხის სახით, აღნიშნული მომსახურების პროექტი მცირდება 1 920 600 ლარით. აღნიშნული ნარჩენი თანხა გადანაწილდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ შესაბამის პროექტებზე.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სხვა შეკითხვები არ დასმულა, შენიშვნები და განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი საკითხი:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 19 სექტემბრის №12-032326258-03 წერილით წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2 (ვახტანგ სურგულაძე; სალომე კობალაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 19 სექტემბრის №12-032326258-03 წერილით წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 11 სექტემბრის №12-032325458-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გიორგი კობიაშვილმა.

მომხსენებლის (გ.კობიაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროექტის მიღება განპირობებულია, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის ზონების ცვლილების საჭიროებით.

პროექტით იცვლება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-93 დადგენილების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის ზონები (დანართი 2).

პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იზრდება მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვის ფართობი (დანართის სახით წარმოდგენილი რუკის შესაბამისად).

მომხსენებელმა, ბატონმა გიორგი კობიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ივნისის თვეში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჯარიმების ოდენობა გაიზარდა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის (ამ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის) წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესების დარღვევით თვითმმართველი ქალაქის (თბილისის) საზღვრებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა, გარდა წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა, - გამოიწვევს პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას, ნაცვლად აქამდე დადგენილი 20 ლარისა, 50 ლარის ოდენობით, ხოლო, ბულვარში, პარკში სკვერში ან პლაჟზე პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა - გამოიწვევს მისი მესაკუთრის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. აღნიშნული ცვლილება, კანონის თანახმად, ამოქმედდა 1-ელი სექტემბრიდან.

დამსწრე საზოგადოებისთვის მომხსენებლის (გ. კობიაშვილი) მიერ საკითხის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, შეკითხვა დასვა ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ, რომელიც დაინტერესდა კრწანისის რაიონში, მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალული ტერიტორიების მისამართების საკითხით.

ბ-ნი ლ. ჯაფარიძის მიერ დასმულ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა მომხსენებელმა, ბატონმა გიორგი კობიაშვილმა.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სხვა შეკითხვები არ დასმულა, შენიშვნები და განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი საკითხი:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 11 სექტემბრის №12-032325458-03 წერილით წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 9

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 11 სექტემბრის №12-032325458-03 წერილით წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 1-ელი სექტემბრის №12-032324412-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 30 აგვისტოს №23.1269.1420 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი

ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №01232311-67; №01232331953-67; №01232412803-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი - №01232311-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.18.003.060; №01.19.18.003.061) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს №01.19.18.003.060 და №01.19.18.003.061 საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე სამრეწველო ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობის განთავსება.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გავრცელებულია სამრეწველო ზონა 2 (ს-2). შესაბამისად, ტერიტორია სამშენებლოდ განვითარებულია სამრეწველო ფუნქციით. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მოხდება ტერიტორიის ერთიანი ქალაქგეგმარებითი მახასიათებლების გათვალისწინება და ტერიტორიის ჯეროვანი გამოყენება იმ ფუნქციით, რომელიც რელევანტურია მიმდებარე განაშენიანებისათვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 21 აგვისტოს №01232332773 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) ფენა რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №01.19.18.003.060; №01.19.18.003.061 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №01.19.18.003.060; №01.19.18.003.061) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 1 (სალომე კობალაძე)

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01232331953-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.18.003.027) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო განიხილავს №01.19.18.003.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 21 აგვისტოს №01232332772 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.18.003.027) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1 (სალომე კობალაძე)

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01232412803-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, დიდშის მასივში, V კვარტალში, მე-8 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.03.015.013) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

№01.13.03.015.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105

დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 29 აგვისტოს №012324289 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სატრანსპორტო ზონა 1-სა (ტზ-1) და საპროექტო ტერიტორიას შორის ფაქტობრივად არსებულ გზაზე (ტროტუარზე) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენა რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.13.03.015.013 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, დიდმის მასივში, V კვარტალში, მე-8 კორპუსი მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.03.015.013) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 1 (სალომე კობალაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 1-ელი სექტემბრის №12-032324412-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01232311-67; №01232331953-67; №01232412803-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 1-ელი სექტემბრის №12-032324414-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 30 აგვისტოს №23.1282.1425 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01232333025-67).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი - №01232333025-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.81.02.258.006; №01.81.02.258.011; №01.81.02.258.009; №01.81.02.258.010; №01.81.02.258.008 და მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე (წინა

კოდი: №81.02.03.652)) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე "ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.03.652) ინდივიდუალური სააგარაკე უბნისა და ბავშვთა დასასვენებელი ბანაკის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 ივნისის №1392 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2022 წლის 25 ნოემბრის №628 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ამასთან, ვინაიდან, №81.02.03.652 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ზემოაღნიშნული დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში არსებული გამოჯვრის სქემის შესაბამისად გაიმოქმედდა ცალკეულ რეგისტრაციებად, რის შედეგადაც, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოიქმნა მცირე ხარვეზები, რეგისტრაციებს შორის წარმოქმნილი ხარვეზების გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება ფუნქციური ზონის ცვლილება. ზონის ცვლილების ფართობი დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად წარმოადგენს 42695 კვ.მ-ს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.81.02.258.006; №01.81.02.258.011; №01.81.02.258.009; №01.81.02.258.010; №01.81.02.258.008 და მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე (წინა კოდი: №81.02.03.652)) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 1 (სალომე კობალაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 1-ელი სექტემბრის №12-032324414-03 წერილით წარმოდგენილი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01232333025-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 7 სექტემბრის №12-03232501-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 6 სექტემბრის №23.1323.1460 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - №012323368-67; №01232201639-67; №01232372629-67; №01231983665-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - №012323368-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.011.068) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

2023 წლის 5 სექტემბრის №01232482726 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

ამასთან, №01.10.18.011.068 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.011.068) სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 1 (სალომე კობალაძე)

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01232201639-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა №85-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.22.488) მოთხოვნილია სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის, სარეკრეაციო ზონა 3-ისა (რზ-3) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

№72.16.22.488 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.16.22.488) მცირე ნაწილზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა

1 (სზ-1) და სარეკრეაციო ზონა - 3 (რზ-3). ხოლო, ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღების შემდგომ მასზე სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა ნაწილობრივ შეიზღუდა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მომიჯნავე რეგისტრაციის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №72.16.22.822) ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3), რომელიც ატარებს ფრაგმენტულ ხასიათს. აღნიშნულის ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №72.16.22.822 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

2023 წლის 29 აგვისტოს №01232412519 და 2023 წლის 6 სექტემბრის №18-01232491168 წერილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ თბინვალაში, თბინვალას ქუჩა №85-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.22.488) სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება, ასევე, №72.16.22.822 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 1 (სალომე კობალაძე)

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01232372629-67 განცხადებით ქალაქ თბილისში, გ. ჭყონდიდლის ქუჩა №87-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.136) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება.

№01.12.12.003.136 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გავრცელებულია სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), რომელშიც დასაშვებია მხოლოდ სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება

საპროექტო ტერიტორია ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით, მდებარეობს ცენტრალურ ზონაში (ცზ). ცენტრალური ზონა (ცზ) არის დედაქალაქის ცენტრალური ნაწილი და წარმოადგენს ტერიტორიების ათვისების მაღალის ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიულ ელემენტს.

აღნიშნულისა და მიმდებარე განაშენიანების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ძველი ნაგებობების ჩანაცვლების მიზნით, განხორციელდეს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება, რომელიც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მოაწესრიგებს საპროექტო ტერიტორიას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის გენერალურ-გეგმაში წარმოიქმნება ხარვეზი. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გ. ჭყონდიდლის ქუჩა 87-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.136) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 1 (სალომე კობალაძე)

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01231983665-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ავტოგასამართ სადგურსა და „ლოჭინი“-ს ხიდს შორის, მარჯვენა მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.005.054) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

№01.19.14.005.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სავაჭრო და საგამოფენო შენობა-ნაგებობის განთავსება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით №01.19.14.005.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

2023 წლის 24 ივლისის №01232053135 წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა (რზ-1).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, სატრანსპორტო ზონა 1-სა (ტზ-1) და №01.19.14.005.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.005.053) მიწათსარგებლობის გენერალურ-გეგმაში ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.19.14.005.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ავტოგასამართ სადგურსა და „ლოჭინი“-ს ხიდს შორის, მარჯვენა მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.005.054; №01.19.14.005.053) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1 (სალომე კობალაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კაზა კალაძის მიერ 2023 წლის 7 სექტემბერს №1203232501-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01232368-67; №01232201639-67; №01232372629-67; №01231983665-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 8 სექტემბრის №12-03232511-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეექვსე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 6 სექტემბრის №23.1330.1471 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01232361994-67).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი - №01232361994-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის

ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.13.004.045) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონისა (სზ) და სატყეო ზონის სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

№01.19.13.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს უნიკალური სატრანსპორტო სარბოლო ატრაქციონის განთავსება.

2023 წლის 29 აგვისტოს №01232412519 წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ №01.19.13.004.035 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოიქმნება ხარვეზები. აღნიშნული ხარვეზების გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატყეო ზონით ცვლილება.

ასევე, სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, იცვლება №01.19.13.004.045 საკადასტრო ერთეულის მცირე ნაწილზე, არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო, 2023 წლის 6 სექტემბრის №61-01232492688 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, აფიქსირებს დადებით პოზიციას საპროექტო საკადასტრო ერთეულზე მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.13.004.045), ასევე, №01.19.13.004.035 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ), სატყეო ზონის, სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1), სატყეო ზონითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 1 (სალომე კობალაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 8 სექტემბერს №12-03232511-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - № 01232361994-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

დღის წესრიგის მეშვიდე (მიმდინარე) საკითხები:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 21 სექტემბრის N12-032326380-03 წერილი)

